მერაბ კილაძე და ანსამბლი „ლაბირინთი“

2023

მერაბ კილაძე კონცერტის დროს

მერაბ კილაძე და ანსამბლი „ლაბირინთი“

საბჭოთა კავშირის ლიბერალიზაციისა და ამერიკა-ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის შედარებით დათბობისა და ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევის შედეგად საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში (ძირითადად 1970-80-იან წლებში) შეიქმნა ჯაზისა და როკის არაერთი ანსამბლი. საზოგადოებისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილია თბილისში მოქმედი ანსამბლები, ამიტომ გამოცემის მიზანია, საზოგადოებას გააცნოს ბათუმში არსებული ანსამბლ „ლაბირინთის“ ბიოგრაფია და ჩანაწერები.

ქართული პრესა ამ ანსამბლის შესახებ საგრძნობლად მწირია. ჩვენს ხელთ არის მხოლოდ რამდენიმე ქართული (ძირითადად „საბჭოთა აჭარა“) და რუსული გაზეთები, ასევე მერაბ კილაძის ხელნაწერი. წიგნზე მუშაობისას გადამწყვეტი დახმარება გამიწიეს ანსამბლის წევრებმა, რომლებიც დაუ-ზარებლად მიყვებოდნენ ყველაფერს მათი საკონცერტო და საფესტივალო მოღვაწეობის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გია პატარაია და ქეთევან კილაძე. მოპოვებული მასალა შეკვეცილი სახით 2020 წელს ჟურნალ „მუსიკის“ მესამე ნომერში გამოვაქვეყნე, ამჟამად კი სრულად გამოვცემ.

„ლაბირინთის“ გავლილი გზა და შემორჩენილი ჩანაწერები თამამად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ „ლაბირინთი“ იხსენიებოდეს „ორერას“, „დიელოს“, „რეროს“, „ივერიას“ და სხვა ანსამბლების გვერდით. მითუმეტეს, რომ თბილისში, საბჭოთა კავშირის მასშტაბით როკ-მუსიკის პირველ საერთაშორისო ფესტივალზე 1980 წელს ანსამბლმა „ლაბირინთმა“ თვით რობერტ ბარძიმაშვილის განთქმული ანსამბლი „ვია 75“-იც კი ჩამოიტოვა.

ანსამბლის ხელმძღვანელი მერაბ კილაძე ბათუმში 1954 წლის 4 ივლისს დაიბადა. დაამთავრა ბათუმის პირველი (ამჟამად მეორე) საშუალო სკოლა. მუსიკალური განათლება მიიღო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში. სწავლა განაგრძო ამავე სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში (ე. წ. ტექნიკუმში) ჯერ საფორტეპიანო, შემდეგ კი საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე. გიტარაზე დაკვრა მისივე კლასელ გია პატარაიასთან ერთად რევაზ მღებრიშვილისგან უსწავლია. როგორც ჩანს მერაბი მუსიკაში ადრევე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით, რადგან ჯერ კიდევ 1966 წლიდან იღებდა ჯილდოებსა და სიგელებს. 1971 წლიდან კი დაიწყო მერაბის საანსამბლო ცხოვრება, მაგრამ სანამ „ლაბირინთი“ დაერქმეოდათ, იქამდე მისმა ხელმძღვანელმა და წევრებმა არცთუ მცირე შემოქმედებითი გზა განვლეს.

ყველაფერი კი შემდეგნაირად იყო: 1970 წლისთვის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის (ბენზეს) კულტურის სასახლის დირექტორი ივანე (ბაკუნა) პატარაია ყოფილა. გია პატარაიას ცნობით, იმ სასახლეში რამდენიმე ანსამბლი არსებობდა. ამ ანსამბლებს სხვა ინსტრუმენტებთან ერთად ხელნაკეთი ელექტროგიტარები ჰქონდათ. სასახლესთან არსებული ერთ-ერთი ანსამბლის წევრები, რომლებსაც უნდა მიეღოთ საახალწლო ღონისძიებაში მონაწილეობა, მოსკოვში გაემგზავრნენ და ღონისძიების ჩაშლის საფრთხე დადგა. ბაკუნამ გიას და მერაბს სთხოვა რომ ხალხი სასწრაფოდ შემოეკრიბათ და 1970 წლის 31 დეკემბერს „ბენზეს“ კულტურის სასახლის სცენაზე თავად გამოსულიყვნენ. გიამ და მერაბმა მეგობრებთან ერთად კონცერტი ჩაატარეს და ამგვარად დაიბადა ანსამბლი „ჩირაღდანი“, რომლის ხელმძღვანელობა მერაბმა ითავა. ამგვარად ანსამბლის დამაარსებლები იყვნენ მერაბ კილაძე და გია პატარაია.

„ჩირაღდანის“ თავდაპირველი შემადგენლობა კი ასეთი იყო: მერაბ კილაძე (სოლოგიტარა), გია პატარაია (რიტმგიტარა), რამაზ გვარამაძე (დასარტყამები), დავით მახარაძე (ბასგიტარა), ზურაბ ჩხარტიშვილი (ვოკალი) და ნატალია კასატოვა (ფორტეპიანო). ანსამბლის წევრების მეგობარი იყო ოთარ წულუკიძე და გოგი ჩიტაიშვილი, რომლებსაც უცხოური მუსიკალური ჯგუფების ფირფიტები ჰქონდათ. “The Beatles”, “Santana” და მათი მსგავსი სხვა ჯგუფების გავლენამ ჩამოაყალიბა „ჩირაღდანის“ რეპერტუარი.

რაც შეეხება ანსამბლის სახელწოდების მინიჭებას, გია პატარაია იგონებს: „ბენზეს ქარხნის მილზე მუდმივად ჩირაღდანივით ენთო ცეცხლი და ამიტომ დავარქვით ანსამბლს ეს სახელწოდება“.

1971 წლის ბოლოს დავით მახარაძის სამხედრო სავალდებულო სამსახურში წასვლისა და ნატალია კასატოვას მიერ ანსამბლის დატოვების გამო შეიცვალა „ჩირაღდანის“ შემადგენლობა, თუმცა ხელმძღვანელი უცვლელი დარჩა. 1972 წლისათვის ანსამბლში იყვნენ: მერაბ კილაძე (სოლოგიტარა, ფორტეპიანო, ვოკალი), გია პატარაია (ბასგიტარა, ვოკალი), ზურაბ ჩხარტიშვილი (ვოკალი), ასია აბრამიშვილი (ვოკალი), ანზორ ვარშანიძე (გიტარა, ვოკალი), რამაზ გვარამაძე (დასარტყამები) და ზურაბ ახალაძე (ვოკალი, ელექტროორღანი, კლავესინი). მოგვიანებით მომღერლებად მოიწვიეს ქეთევან კილაძე (მერაბის და) და მარინა ჯახუტაშვილი. რამდენიმე ღონისძიებისთვის დამხმარედ იწვევდნენ სომეხ მევიოლინეთა ტრიოს. ანსამბლ „ჩირაღდანს“ რეპერტუარში ჰქონდა როგორც ქართული ხალხური სიმღერები გაესტრადებული სახით, ისე ქართველი და უცხოელი

კომპოზიტორების პოპულარული ნაწარმოებები. ვინაიდან ანსამბლი „ბენზეს“ კულტურის სასახლესთან არსებობდა, ინსტრუმენტებზე სასახლის დირექტორი ივანე (ბაკუნა) პატარაია ზრუნავდა.

ზურაბ ახალაძე იხსენებს: „ინსტრუმენტები, მიკროფონები, ხმის გამა-ძლიერებლები და დინამიკები, რა თქმა უნდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ხარჯზე ბულგარეთიდან ჩამოგვდიოდა და მეც მხვდა წილად იმდროინდელი არნახული ელექტროორღანი “Matador”-ი. ჩვენც მეტი რა გვინდოდა, ასეთი ინსტრუმენტების მქონეს, დღე და ღამეს ვასწორებდით რეპეტიციაზე, ძალიან ხშირად ისე შემოგვაღამდებოდა, რომ იძულებული ვიყავით სარეპეტიციო ოთახში დაგვეძინა“.

1971-73 წლებში „საქართველოს პროფკავშირების“ საესტრადო კოლექ-ტივების დათვალიერებაში აჭარის მასშტაბით „ჩირაღდანმა“ პირველი ადგილი აიღო. 1972 წელს „ჩირაღდანი“ გამოვიდა სატელევიზიო კონკურსში „ალო, ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ და საქართველოს მასშტაბით მესამე ადგილი ერგო. ამავე წელს „ბენზეში“ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების საქალაქო დათვალიერებაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, „ჩირაღდანი“ პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

ანსამბლი საკონცერტო ცხოვრებას უმეტესწილად ეწეოდა აჭარის დასასვენებელ სახლებში (ქობულეთში, მახინჯაურში, ბათუმში, ხიჭაურსა და სხვა ადგილებში) და სამთავრობო ღონისძიებებზე. ანსამბლი მუსიკალურად აფორმებდა სხვადასხვა სადღესასწაულო თუ გასართობ ღონისძიებებს. „ჩირაღდანის“ მოსასმენად მელომანები ხშირად თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც კი ჩამოდიოდნენ. „ჩირაღდანი“ ასრულებდა ქართულ და უცხოურ საესტრადო ნიმუშებს. ანსამბლის არსებობის დროს მერაბი ჯერ კიდევ არ ქმნიდა თავის ნაწარმოებებს თუმცა ხალხურ სიმღერებს საესტრადოდ უკვე ამუშავებდა.

ანსამბლმა ერთხელ კონცერტი კორპუსის სხვენზე ჩაატარა. ამ ამბავს ზურაბ ახალაძე შემდეგნაირად იგონებს: „1972 წლის აგვისტოში ქარხნის დირექციამ დაგვავალა ბათუმის ბულვარში ღია სცენაზე (რომელიც მდებარეობდა მომღერალ შადრევნებსა და სტადიონს შორის), „საშეფო“ კონცერტის ჩატარება. კონცერტი დიდი შემართებით ჩავატარეთ, ბოლოს ინსტრუმენტების გადასატანად მანქანა არ მოვიდა. დიდი ლოდინის და ბჭობის შემდეგ ინსტრუმენტები იქვე ჩემ 12 სართულიანი კორპუსის მეთორმეტე სართულზე ავიტანეთ. მეორე დღეს კი სხვენზე ერთსაათიანი კონცერტი გავმართეთ. ქუჩაში და მოედანზე მოსეირნე ხალხი მუსიკის

ხმაზე გაკვირვებულები ზემოთ იყურებოდნენ, მაგრამ ვერ გვხედავდნენ. ამაზე შემდგომ ქალაქში დიდხანს ლაპარაკობდნენ“.

ახლა კი მკითხველს გავაცნობ „ჩირაღდანთან“ დაკავშირებულ რამდენიმე კურიოზს, რომელიც თვალნათლივ ჰფენს თუ საბჭოთა ოფიციოზის მიერ როგორ იზღუდებოდა თანამედროვე ევროპულ-ამერიკული ესტრადა. იმ დროის ახალგაზრდები კი დიდ დაინტერესებას გამოხატავდნენ მაშინდელი ჯაზის, როკისა და სხვა უცნობი ჟანრების მიმართ.

გია პატარაია ანსამბლის არსებობასთან დაკავშირებით ერთ ამბავს იგონებს: „კომუნისტური იდეოლოგიის გამო ერთხელ ბულვარში კონცერტი შეგვაწყვეტინეს (თითქოს ანტისაბჭოთა სიმღერებს ვუკრავდით) და მილიციაში წაგვიყვანეს. მერე მამაჩემმა ძლივს გამოგვიყვანა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ზურაბ ჩხარტიშვილი ინგლისურის გაგებაში არ იყო და ისე მღეროდა, უცხოელები მოდიოდნენ და ინგლისურად ელაპარაკებოდნენ და როცა ზური ეტყოდა ენა არ მესმისო, უკვირდათ. უმეტესი სიმღერების შინაარსი არც კი ვიცოდით. ჩვენს წრეში ხომ ინგლისური ენა არავინ იცოდა“.

ქეთევან კილაძე იხსენებს: „ერთხელ, ბულვარში როკ-ენ-როლის ჟანრში ერთ ნომერს ვასრულებდით. ამის გაგონებაზე უამრავი ადამიანი მოგროვდა და რამდენიმე კაცი კინაღამ გაიჭყლიტა. ამასობაში სასწრაფოდ მოვიდა მილიცია, რომელმაც ხალხი ძლივს მისწი-მოსწია და დააშოშმინა. ჩვენ კი მილიციამ გვთხოვა, რომ რაიმე ნელი შეგვესრულებინა“.

1989 წელს ოდესის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ზურაბ ჩხარტიშვილმა ბავშვობა და ახალგაზრდობა შემდეგნაირად გაიხსენა: „დღევანდელი „ლაბირინთის“ წევრების ნაწილი საბავშვო ბაღსა და სკოლაში ერთად ვიყავით. მუსიკალური ინსტრუმენტები კი ხელში 1969 წელს დავიჭირეთ. მახსოვს, როცა ჩვენ მიერ გაკეთებულ ხელნაკეთ გიტარებს რადიოში ვაერთებდით და ისე ვუკრავდით “The Beatles”. შემდგომ გადავერთეთ როკ-მუსიკაზე და ვუსმენდით “Deep Purple” და “Led Zeppelin”. ამის პარალელურად სიამოვნებით ვუსმენდით ჯაზ-როკის სტილში მოღვაწე ანსამბლებს “Chicago” და “Blood Sweat & Tears”. ამით საშუალება გვეძლეოდა რომ ჩვენი იდეები და ხელწერა გაგვევითარებინა. ოდესღაც როკისთვის მკაცრ დღეებში მოგვიწია სიმძიმის საკუთარ თავზე გამოცდა. იყო შემთხვევები, როდესაც ზედა ინსტანციები გვიკრძალავდნენ ჩვენთვის სასურველი მუსიკის შესრულებას. დღეს უკვე ბევრი კლუბი და კოლექტივი იქმნება და ეს ძალიან გვიხარია, თუმცა აღარ ვართ იმ ასაკში რომ როკი შევასრულოთ, მაგრამ როკ-ენ-როლს კი ვასრულებთ“. რესპოდენტი აქ

გულისხმობს ანსამბლ „ლაბირინთს“, რომელზედაც შემდგომ მოგახსენებთ. შესაძლოა ზურაბი და მერაბი 1969 წლიდან მართლაც მუსიცირებდნენ, მაგრამ ანსამბლი „ჩირაღდანი“ 1970 წლის 31 დეკემბერს დაიბადა.

გია პატარაია „ჩირაღდანში“ მოღვაწეობის და ზოგადად მისი თაობის ახალგაზრდობის პერიოდს ასე იხსენებს: ბათუმის პორტში ოთარ წულუკიძის სახით გვყავდა ისეთი მეგობარი, რომელსაც უცხოელი მეზღვაურები ფირფიტებს ჩუქნიდნენ. ერთხელ ინგლისელმა მეზღვაურმა ოთარს გამოუგზავნა ფირფიტა, რომელიც ორივე მხარეს გადაკაწრული ჩამოუვიდა. შემდგომ გაირკვა, რომ ფირფიტა საბაჟოს თანამშრომლებმა სპეციალურად დააზიანეს, რადგან უცხოეთიდან გარკვეული ნივთების შემოტანა იზღუდებოდა. ოთარს სახლში ასევე ჰქონდა რადიო-გადამცემი, რომლის საშუალებით ჩვენ რადიო-ეთერში გავდიოდით და “The Beatles”, “Deep Purple” და მათ მსგავს რეპერტუარს ვასრულებდით. „კაგებე“ დაადგინა თუ საიდან ხდებოდა ამ მუსიკის გავრცელება, მიაკითხეს სახლში, ჩამოართვეს ყველაფერი და წაიყვანეს კაგებეში. „ჩირაღდანის“ წევრები ამ მომენტს არ შევსწრებივართ. ისიც მახსოვს, რომ საზღვარგარეთის მუსიკას ბულვარში რადიო „ტრანზისტორით“ ვეცნობოდით. მართალია მუსიკას ხშირად ხარვეზები მოჰყვებოდა, თუმცა მაინც ვუსმენდით. შუა ქალაქში ამის მოსმენა კიდევ უფრო ძნელი იყო რადგან „კაგებე“ ახშობდა, ბულვარში კი ღია სივრცის გამო საზღვარგარეთული რადიოარხების სრული დახშობა შედარებით რთული გამოდგა“. გიას მონათხრობის დასტურად შეგიძლიათ გაეცნოთ ინტერნეტსივრცეში ლაშა გაბუნიას წერილს „საბჭოთა საქართველო და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ეპოქა“.

1973 წლის მაისში გია პატარაიასა და მერაბ კილაძის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გამო „ჩირაღდანმა“ დროებით შეაჩერა ფუნქციონირება. აღსანიშნავია, მათ მატარებლამდე გულშემატკივრების უდიდესი ნაწილი აცილებდა. გია ჯარიდან ექვს თვეში დაბრუნდა და სრულიად ახალი შემადგენლობით სხვა „ჩირაღდანი“ შექმნა, რომელმაც ერთი წელი იარსება. მერაბმა კი 1973-75 წლებში ახალციხეში სავალდებულო სამსახურში ყოფნისას შექმნა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი და პარალელურად მოღვაწეობდა ჯარის მუსიკალური რაზმის სასულე ორკესტრში. 1975 წელს მერაბი ჯარიდან ბათუმში დაბრუნდა და აღადგინა ძველი „ჩირაღდანი“, რომელსაც „მუხამბაზი“ დაარქვა. ანსამბლის შემადგენლობა შემდეგნაირი გახდათ: მერაბ კილაძე (სოლოგიტარა, ფორტეპიანო, ვოკალი), ზურაბ ჩხარტიშვილი (ვოკალი), ქეთევან კილაძე (ვოკალი), დავით მახარაძე (ბასგიტარა), რამაზ გვარამაძე (დასარტყამები),

ანზორ ვარშანიძე (რიტმგიტარა, ვოკალი), ზურაბ ჯინჭარაძე (გიტარა, ვოკალი) კონსტანტინე კისიაკოვი (კლავიშიანი საკრავები, ჰობოი), მარინა ჯახუტაშვილი (ვოკალი), პანაიოტიკ პაპაიანიდი (ფლეიტა, ალტ საქსაფონი, გიტარა, ვოკალი), გარიკ მკრტიჩიანი (ბასგიტარა, ვოკალი) და ვაჟა კონცელიძე (ვოკალი).

ზოგიერთ საგაზეთო სტატიაში მერაბ კილაძის აღდგენილი ანსამბლის ფორმირების თარიღად 1976 წელია მიჩნეული, ალბათ იმიტომ რომ სავარაუდოდ ამ წელს დამტკიცდა ანსამბლის საბოლოო შემადგენლობა, მაგრამ თავად მერაბი თავის ხელნაწერში ანსამბლის აღდგენის ისტორიას 1975 წლიდან იწყებს და ამგვარად ეს თარიღია სანდო. ანსამბლს მცირე ხნით „მუხამბაზი“ და „ზღვის შვილები“ ერქვა, 1977-79 წლებში კი ბათუმის კულტურის სახლთან არსებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ უსახელო ანსამბლად იწოდებოდა. ანსამბლი ასრულებდა როგორც ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, ასევე მერაბ კილაძის მიერ დამუშავებულ და საავტორო სიმღერებს. ანსამბლის რეპერტუარში იმხანად დიდი ადგილი ქართულ ხალხურ მუსიკის არანჟირებას ეთმობოდა. ამრიგად ანსამბლში ვხვდებოდით ქართული ხალხური, ლათინურ-ამერიკული და კლასიკური მუსიკის ერთგვარ სინთეზს.

ანსამბლი „ზღვის შვილების“ სახელით 1977 წელს აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პირველ პლენუმზე, რომელიც საესტრადო მუსიკას ეძღვნებოდა. ამის შესახებ საუბარია გივი ორჯონიკიძის მონოგრაფიასა „აღმავლობის გზის პრობლემები“ და ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მეშვიდე ნომერში. პლენუმის ერთ-ერთ დადებით მხარედ პატივცემულ მუსიკისმცოდნეს ხალხური სიმღერების საესტრადო დამუშავებები მიაჩნდა, რომლებიც როგორც ინტონაციური წყობით, ისე საშემსრულებლო მანერით ემსგავსებოდა ხალხურ სიმღერას. მნიშვნელოვანია რომ „ზღვის შვილებმა“ მეხუთე პლენუმზეც მაღალი შეფასება დაიმსახურა. იმავდროულად საქართველოს ტელევიზიამ ანსამბლის შესრულებით ხალხური სიმღერების რამდენიმე არანჟირებული ნიმუში ჩაიწერა. 1977 წელსვე კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო თბილისში „სრულიად მშრომელების თვითშემოქმედებითი ანსამბლების“ პირველ საკავშირო ფესტივალზე რომელიც ეძღვნებოდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავს. ანსამბლის სოლისტებმა ქეთევან კილაძემ და ზურაბ ჩხარტიშვილმა მიიღეს ლაურეატების წოდება და მცირე მედალი. ანსამბლმა კი მიიღო უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება. დასკვნით კონცერტზე კი ქალაქ კიევში ანსამბლს

გადაეცა ფესტივალის ლაურეატის დიდი ოქროს მედალი. როგორც ერთ-ერთ გაზეთთან საუბრისას თავად მერაბ კილაძე აცხადებს: „ანსამბლმა წარმატებას სწორედ არანჟირებული ხალხური მელოდიების საშუალებით მიაღწია. ქართული ხალხური სიმღერების პოლიფონიური ქარგა, უჩვეულო ნიუანსები არამარტო აოცებდა მსმენელს, არამედ აღაფრთოვანებდა კიდეც. ამის შედეგად თითქმის ყველა ნომერი გაგვამეორებინეს“. იმავე წელსვე ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამაში «Шире круг». კოლექტივი წინამდებარე წარმატებების გამო მიიწვიეს ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადში პოლიტიკური სიმღერების ფესტივალ «Ален Мак»-ში და ანსამბლმა მოიპოვა დიპლომანტის წოდება. ამ დროისთვის ანსამბლს უკვე კონკრეტული სახელი აღარ ჰქონდა, რაც ბულგარულ ენაზე გამოქვეყნებული წერილით მტკიცდება.

სავარაუდოდ 1977 წელსვე, ანსამბლმა კონცერტები გამართა რიგასა და ნოვოროსისკში.

1978 წელს ანსამბლის ახალი პროგრამა ჩაიწერა საქართველოს ტელევიზიამ. ამ წელს ბათუმში კოლექტივმა ჩაატარა რამდენიმე ათეული „საშეფო“ კონცერტი. დეკემბერში კი გამოვიდა საბჭოთა ახალგაზრდული სიმღერების პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე. ანსამბლის სოლისტმა ზურაბ ჩხარტიშვილმა მიიღო ლაურეატის წოდება და გადაეცა მესამე ხარისხის დიპლომი. მოსკოვში ანსამბლს ერთ-ერთი გამოფენა მუსიკალურად გაუფორმებია და ჯილდო იქაც მიუღია.

1979 წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში საესტრადო კოლექტივების საკავშირო დათვალიერებაზე, სადაც აღიარეს ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივად და ანსამბლის წევრებს გადაეცათ მედლები და მოწმობები. პარალელურად ანსამბლი კიევში საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული საკავშირო ფესტივალის ლაურეატი გახდა.

ამავე წელს ანსამბლმა დაიწყო მუშაობა საქართველოს ტელევიზიაში ახალი პროგრამის ჩასაწერად. ქეთევან კილაძის თქმით გადაღებულ იქნა მერაბ კილაძის „მიწის აჩრდილი“ და „წვეთავდა წვიმა“, ზურაბ ჩხარტიშვილის „ჯორდანო ბრუნო“ და ქეთევან კილაძის დუეტი „ცხოვრების ტალღა“. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ჰიტად იქცა და კონსერვატორიის ახალგაზრდობაშიც პოპურალური გახდა, თუმცა მისი ავტორის ვინაობა არ იცოდნენ. ამ ორი სიმღერის („წვეთავდა წვიმა“ და „ცხოვრების ტალღა“) არათუ ვიდეო, აუდიო ჩანაწერიც კი დაკარგულია. იმავე პერიოდში ჩაიწერა სიმღერა «Озорница» რომლის შემქმნელი ზურაბ ჩხარტიშვილი გვეგონა მაგრამ კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩნდა რომ ეს ყოფილა უკრაინული

სიმღერა, რომელიც მერაბ კილაძესთან ერთად გადაუმუშავებია. ეს სიმღერა ხელმეორედ 1989 წლის ფირფიტაზე ჩაწერეს, რომლის შესახებაც ქვევით მექნება საუბარი.

1980 წელს „ლაბირინთმა“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო ორგანიზაციის 37-ე კონფერენციისადმი მიძღვნილ კონცერტში და შეასრულა ქეთევან კილაძის ნაწარმოები „ახალგაზრდული“. ამავე წელს ანსამბლის ერთ-ერთი გამოსვლა მიეძღვნა საქართველოში კომუნისტური პარტიის დაარსების 60 წლისთავს.

ამავე წელს მიეკუთვნება საქართველოსა და საბჭოთა კავშირის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი მოვლენა. ვგულისხმობ საბჭოთა კავშირის მასშტაბით თბილისში გამართულ როკ-მუსიკის ფესტივალს, რომელსაც საბჭოთა იდეოლოგიის გამო ოფიციალურად „თანამედროვე საესტრადო მუსიკის ფესტივალი „გაზაფხულის რიტმები - თბილისი 80“ ეწოდა. მერაბ კილაძის ანსამბლი „ლაბირინთის“ სახელწოდებით მონაწილეობს ამ ფესტივალზე და იღებს მეორე ადგილსა და ლაურეატის წოდებას. საუკეთესო სოლისტთა შორის კონკურსზე დასახელდა მომღერალი ზურაბ ჩხარტიშვილი და მიენიჭა პირველი პრემია. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელი თავის მოგონებაში წერს: „რვა დღის განმავლობაში ანსამბლები წარმოდგენილი იყო, საბჭოთა კავშირის 27 ქალაქიდან. კონკურსმა გამოავლინა არაერთი ნიჭიერი კოლექტივი, მათ შორის ანსამბლი „ლაბირინთი“. „ლაბირინთმა“ თავისი ხელოვნება აჩვენა ისეთი უძლიერესი ანსამბლების გვერდით როგორიც იყო – «Машина времени», «Ариель», «Цветы», «Автограф», «Интеграл», «Магнетик Бенд», «Гунеш» და „ვია 75“. ამ პირობებში „ლაბირინთის“ წარმატება არ იყო ადვილი“. სამწუხაროდ როკ-ფესტივალის ჩანაწერი დაკარგულია, თუმცა ის ფაქტი რომ ფილარმონიაში დღემდე არის გამოფენილი იმ კონკურსის მონაწილეთა, მათ შორის „ლაბირინთის“ სურათები, მრავლისმთქმელია.

ქეთევან კილაძე როკ-ფესტივალზე „ლაბირინთის“ გამოსვლას შემდეგნაირად იგონებს – პირველ დღეს მარტო მერაბ კილაძის ორატორია საქართველოზე შევასრულეთ და მეორე დღეს გვქონდა ერთსაათიანი შერეული პროგრამა. მახსოვს ზურაბ ჩხარტიშვილმა ჯინო ვანელი იმღერა მე კი არეთა ფრანკლინი. ევგენი მაჭავარიანს ძალიან მოეწონა ჩვენი ანსამბლი. გია ყანჩელმა კი ჩემ ძმას სთხოვა „ოღონდაც კონსერვატორიაში მოდი და მეორე კურსზე პირდაპირ ჩემ კლასში ჩაგრიცხავო“, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. ამ დროს კი წარმოიდგინე, რომ ჩვენს საზოგადოებაში ბევრს არ მოსწონდა საესტრადო და ხალხური სიმღერების თავისებური არანჟირება და ღიად გვსაყვედურობდნენ კიდეც.

საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ ფესტივალის ლაურეატების მონაწილეობით 1981 წელს გამოსცა გრამფირფიტების სერია «Весенние Ритмы – Тбилиси-80». მასში ანსამბლ „ლაბირინთიდან“ წარმოდგენილია მერაბ კილაძის კომპოზიციები „გაზაფხულის რიტმები“ და სუიტა-ორატორია „ჩემი საქართველო“. ანსამბლის შემოქმედებაში ჩანს როგორც ავტორის თვითმყოფადი სტილი, ისე ქართული ხალხური სიმღერების მელოდიებიც. ფესტივალის ჟიურის წევრმა არტიომ ტროიცკიმ გრამფირფიტის ანოტაციაში ანსამბლს ფესტივალის სურპრიზი უწოდა.

„ლაბირინთის“ გრამფირფიტაზე ჩაწერის პროცესს ქეთევან კილაძე შემდეგნაირად იგონებს: „ფესტივალზე შევასრულეთ სუიტა-ორატორია „ჩემი საქართველო“, თუმცა ფირფიტისთვის ნაწარმოების შეკვეცა მოგვიწია. ჩაწერის პროცესი ძალიან საინტერესო და შრომატევადი იყო. ცალკე ჩაიწერეს ინსტრუმენტული ნაწილი. თითოეული საკრავი ცალ-ცალკე ბილიკებზე და ამავე პრინციპით ჩაიწერეს ვოკალიც უკვე დაბალანსებულ ინსტრუმენტულ ნაწილთან. მახსოვს, სიმღერისას ყელი ისე გადამეღალა, რომ ბოლო მაღალი ბგერის აღებაზე დედაჩემი ეთერ დოლიძე დამეხმარა. წარმოიდგინე, რომ ეს ყველაფერი გაკეთდა ერთი დღის განმავლობაში“.

1980 წლისათვის „ლაბირინთის“ წევრები არიან: ანსამბლის ხელმძღვანელი მერაბ კილაძე (გიტარა, კლავიშებიანი საკრავები); ზურაბ ჩხარტიშვილი (ვოკალი); ქეთევან კილაძე (ვოკალი); რამაზ გვარამაძე (დასარტყამი); გარიკ მკრტიჩიანი (ბასგიტარა, ვოკალი); სუმბათ გრიგორიანი (კლავიშიანი საკრავები, ვოკალი); პანაიოტიკ პაპაიანიდი (ფლეიტა, ალტ საქსაფონი, გიტარა, ვოკალი); ზურაბ ჯინჭარაძე (ვოკალი, გიტარა). ამ დროისათვის ანსამბლის რეპერტუარში წამყვანი ადგილი ეჭირა როგორც ცნობილი ქართველი კომპოზიტორების, ისევე მერაბ და ქეთევან კილაძეების სიმღერებს. რამდენიმე სიმღერა ეკუთვნის ზურაბ ჩხარტიშვილსაც. საგაზეთო სტატიებში ცნობა იმის შესახებ რომ ანსამბლის სხვა წევრებიც წერდნენ სიმღერებს, სიმართლეს არ შეესაბამება.

1980 წლის როკ-ფესტივალზე „ლაბირინთის“ ბრწყინვალე გამარჯვების შემდგომ დაიწყო მისი სანაოსნო მოგზაურობა. გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ კორესპოდენტ ვლადიმერ დარჩიას წერილიდან ვიგებთ, რომ ანსამბლს ოდესის საზღვაო სანაოსნომ გაუფორმა ხელშეკრულება და საკრუიზო მარშრუტებით მსოფლიოს გარშემო შეუდგა მოგზაურობას. 1981 წელს მათ მოიარეს თურქეთი, საბერძნეთი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი და ა. შ. 1982 წელს ანსამბლი ეწვია ესპანეთისა და ურუგვაის არაერთ ქალაქს. 2017 წლამდე „ლაბირინთმა“ მოიარა მსოფლიოს თითქმის ყველა საზღვაო ქვეყანა, თუმცა

კონცერტები უმთავრესად გემზე მყოფი მუსიკოსებისა და მსახიობების მიერ მოგზაურთათვის იმართებოდა. აღვნიშნავ, რომ რამდენიმე საკრუიზო მოგზაურობაში თან ახლდათ ცნობილი მუსიკოსები: უჩა კორძაია, ფილიპ კირკოროვი, საშა სეროვი და სხვები. გერმანელ მომღერალთან ერთად „ლაბირინთელებმა“ გადაიღეს კლიპი „სულიკო“ გერმანულ ენაზე. აქვე აღვნიშნავ, რომ „ლაბირინთი“ გემზე თავდაპირველად ერთი წლით უნდა წასულიყო, თუმცა ანსამბლის წევრების დიდი ნაწილი გემს 30 წელზე მეტი ხნით შემორჩა.

„ლაბირინთის“ სანაოსნო ცხოვრება ლაინერ «Грузия»-თი დაიწყო (1981-1988), შემდგომ «Максим Горький»-ით (1988-2017) გაგრძელდა. ისიც უნდა ვთქვა, რომ კლუბური მუშაობის გამოცდილება ანსამბლს არც მანამდე აკლდა, რადგან მისი წევრები 1975-80 წლებში უკრავდნენ ბათუმის ულამაზეს რესტორან „სალხინოში“.

საკრუიზო ცხოვრების დასაწყისიდანვე „ლაბირინთს“ ჩამოსცილდა ქეთევან კილაძე ხოლო 1983 წელს პანაიოტიკ პაპაიანიდი საბერძნეთში დასახლდა. მის მაგივრად ანსამბლმა დაიმატა ფლეიტისტი და ალტ-ტენორ საქსაფონისტი ავთანდილ კუბლაშვილი. ვოკალისტობასთან ერთად რიტმგიტარაზე დაკვრა შეითავსა ზურაბ ჩხარტიშვილმა. ზოგიერთ ჩანაწერში ის კლავიშებსა და დასარტყამზეც უკრავს. ამ შემადგენლობით ანსამბლი 1989 წელს ჩაიწერა ოდესის ტელევიზიამ.

უნდა აღვნიშნო, რომ ლაინერ «Максим Горький»-ის ერთ-ერთ სალონ «Россия»-ში 1989 წლამდე გერმანული ანსამბლი უკრავდა, რადგან გემის შემადგენლობა დიდწილად გერმანული იყო. 1989 წელს კი „ლაბირინთი“ მოიწვიეს, რადგან უკვე სახელმოხვეჭილ ანსამბლს წარმოადგენდა. არსებობდა მეორე ფაქტორიც: როგორც თავად მერაბ კილაძე 1989 წელს ოდესის ტელევიზიაში იგონებდა, გერმანული მუსიკა გერმანელების შესრულებით მობეზრებული ჰქონდათ და არაგერმანული ანსამბლების არანჟირება და შესრულება მათთვის უფრო საინტერესო იყო.

1989 წელსვე ანსამბლი გერმანიაში ხმის ჩამწერ ერთ-ერთ სტუდიაში გამოსცემს თავის ფირფიტას ““Labyrinth”. Welcome to a journey on board of the “Maxim Gorky””. როგორც ჩანს ეს ფირფიტა იმდენად პოპულარული გახდა, რომ მომდევნო წლებში გამოიცა დისკისა და აუდიოკასეტის სახით. „ლაბირინთელები“ დიდწილად ცნობილ ქართულ და რუსულ სიმღერებს ასრულებენ. საკუთრივ მათი შექმნილი მხოლოდ მერაბ კილაძის «Ночные свечи» და ზურაბ ჩხარტიშვილის «Снежинки на ветру» გახლავთ.

1980-იანი წლებიდან „ლაბირინთი“ გემზე როგორც ცალკე, ისე სხვა

მსახიობებთან და მომღერლებთან ერთად შოუ-კონცერტებს ატარებდა, რომლებშიც ანსამბლის საავტორო რეპერტუარი წარმოდგენილი აღარ იყო. კონცერტები ყოველდღე იმართებოდა. მართალია ცნობილი ქართველი თუ უცხოელი ავტორების სიმღერებს „ლაბირინთი“ საკრუიზო ცხოვრების დაწყებამდეც ასრულებდა და მათი ხვედრითი წილი მაშინაც დიდი იყო (მათ შორის 1980 წლის ფესტივალზეც), მაგრამ ანსამბლის სახეს თვით მის წევრთა მიერ დაწერილი სიმღერები წარმოადგენდა. საკრუიზო ცხოვრების დასაწყისიდანვე გაბატონებული ადგილი სწორედ რომ უცხოურმა ჰიტებმა დაიკავეს. ანსამბლმა ორიგინალური რეპერტუარი თითქმის სრულიად მიივიწყა, რადგან სიმღერების უმეტესობა კაცისა და ქალის ხმისთვის იყო დაწერილი, „ლაბირინთს“ კი საკრუიზო მოგზაურობის დაწყების შემდეგ ქალი აღარ ჰყავდა. ორიგინალური რეპერტუარის კუთხით ცალკეულ გამონათებად უნდა მივიჩნიოთ 1989 წელს ოდესის სატელევიზიო ეთერში გასული სამი, ანსამბლის ფირფიტაზე დატანებული ორი და გემზე სტუდიურად ჩაწერილი ორი ნიმუში.

ზურაბ ჩხარტიშვილი ანსამბლის გამორჩეული წევრი იყო, რომელიც 2006 წლის 3 იანვარს ფეხბურთის თამაშისას გულით გარდაიცვალა. მისი დაღუპვით „ლაბირინთმა“ დიდი დარტყმა მიიღო. მისი გარდაცვალებიდან მალევე მერაბი იწვევს ტუბისტ ალექსანდრ შეფერს, თუმცა ანსამბლი იგივე ძირითადი შემადგენლობით აგრძელებს მუშაობას. 2008 წელს „ლაბირინთის“ რიგებს ტოვებს ავთანდილ კუბლაშვილი. მომდევნო წლებში ანსამბლს ასევე აკლდება ზურაბ ჯინჭარაძე, რამაზ გვარამაძე, სუმბათ გრიგორიანი და გარიკ მკრტიჩიანიც. მათი ადგილი დაიკავეს უკრაინელმა მუსიკოსებმა. მიუხედავად ამისა, მერაბ კილაძე ახალ შემადგენლობასთან რამდენიმე წელი კვლავ აგრძელებდა მუშაობას. სამწუხაროდ 2017 წლის დასაწყისში მერაბმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გემზე მუშაობა დაასრულა, ანსამბლიდან თავადაც წამოვიდა და სახელწოდება „ლაბირინთიც“ წამოიღო.

მერაბის ანსამბლის ძველი აუდიო-ვიდეო ჩანაწერების მოძიების მიზნით დიდი ხნის განმავლობაში მივმართავდი ბულგარეთის, ლატვიის, რუსეთისა და უკრაინის რადიო-ტელევიზიებს და სახელმწიფო არქივებს, თუმცა უშედეგოდ. ყველაზე მეტი ჩანაწერი საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ არქივებში, ხელოვნების სასახლესა და თბილისისა და ბათუმის რადიო-ტელევიზიის არქივში უნდა ყოფილიყო დაცული, მაგრამ რეალობა სხვაგვარია. თუ არ ჩავთვლით მელოდიის ფირფიტაზე ჩაწერილ ორ ნიმუშს, დასახელებულ არქივებში აღარაფერი

მოიძებნება. არადა 1977-80 წლებში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ანსამბლისგან არაერთი სიმღერა ჩაიწერა. სწორედ ამიტომ, მერაბის თხოვნით 1980-იან წლებში პირველი არხის რადიო-ტელევიზიაში მამაჩემმა თამაზ კრავეიშვილმა რამდენჯერმე სცადა „ლაბირინთის“ ჩანაწერების მოძებნა, თუმცა უშედეგოდ. რამდენიმე წლის წინ კი არქივში აღმოჩნდა არაერთი გადაუწერელი ფირი, თუმცა იმედი აქაც გაგვიცრუვდა. რამდენიმე ჩანაწერი ინახებოდა აჭარის რადიოს არქივში, თუმცა ისიც დაკარგულია. მე მოვიკითხე 1980 წლის ფესტივალის სულისჩამდგმელების (გაიოზ კანდელაკი, ევგენი მაჭავარიანი, არტიომ ტროიცკი) არქივები, თუმცა აქაც არაფერი აღმოჩნდა. ინტერნეტსივრცეშიც ვეძებდი ყველა იმ ფესტივალისა და კონკურსის ჩანაწერებს, სადაც კი მერაბის ანსამბლი გამოსულა, თუმცა ამაოდ. ასევე მივმართე სხვადასხვა ჟანრში მოღვაწე მუსიკოს მკვლევარ-შემსრულებლებს და უბრალო მელომანებს (ვისთანაც ხელი მიმიწვდა) იმ იმედით, რომ რადიოსა და ტელევიზიის პირდაპირი ეთერიდან აუდიობაბინაზე მაინც ექნებოდათ გადაწერილი, როგორც მერაბის, ისე სხვა მსგავსი იმდროინდელი ანსამბლები თუ ინდივიდუალური შემსრულებლები, მაგრამ აქაც ვერაფერს წავაწყდი. მუსიკოსები და მელომანები ჩუმად უსმენდნენ „ამერიკის ხმას“ და როცა სიგნალი ძლიერად არ იხშობოდა, იქედან ბაბინებზე (კოჭებზე) წერდნენ. ამავე მეთოდს იყენებდნენ როდესაც რუსეთის ცენტრალური ტელევიზია იშვიათად, მაგრამ მაინც უჩვენებდა რომელიმე ევროპელი თუ ამერიკელი მუსიკოსის შემოქმედებას. ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ თვით მაღალი ხარისხის ცარიელი ბაბინის შოვნაც ადვილი არ იყო და ამიტომ მელომანები საქართველოსა და ზოგადად საბჭოთა კავშირში გავრცელებული მუსიკის ჩაწერას ერიდებოდნენ. რენტგენის დრეკად და თხელ ფირებზე კი უცხოურთან ერთად ქართული მუსიკაც იწერებოდა, თუმცა მათი გამოყენება დღეს უკვე სახიფათოა რადგან ფირსაკრავზე დაკვრის დროს ისინი ხშირად იხევა.

როკ-მუსიკის ფესტივალის ჩატარებიდან პირველ ხანებში თბილისის ტელევიზიის არქივში ჯერ კიდევ არსებობდა ვიდეობაბინებზე ჩაწერილი მასალა, თუმცა მისი გადაწერა ვერ მოხერხდა. იმხანად ხომ ვიდეობაბინების გამშვები აპარატურა მხოლოდ ტელევიზიაში იყო და ბინაში არავის ჰქონდა. რჩებოდა ერთადერთი ვარიანტი - ტელევიზიას ეთერში გაეშვა ეს მასალა და მერაბ კილაძეს ამგვარად გადმოეწერა (ოღონდ აუდიობაბინაზე), მაგრამ რატომღაც ფირი ეთერში ვერ მოხვდა. 1984-85 წლებში როცა გაჩნდა მისი ვიდეოზე გადაწერის საშუალება, მამაჩემმა გაარკვია რომ არათუ ეს ფესტივალი, არამედ მანამდე ჩაწერილი მასალაც უკვე გამქრალიყო

არქივიდან. როგორც ჩანს ფირებზე კომუნისტური პარტიის ყრილობები გადააწერეს. მიუხედავად იმისა, რომ რადიო-ტელევიზიაში მცირე დოზით მაგრამ დროდადრო ჩნდებოდა სხვადასხვა დროს დაკარგულად მიჩნეული აუდიო და ვიდეოფირები, მერაბის ანსამბლის ერთი კომპოზიციაც კი არ აღმოჩნდა.

სამაგიეროდ ანსამბლის ჩანაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი შეინახა საოჯახო არქივმა (მათ შორის ოდესის ტელევიზიის გადაცემაც). მერაბ კილაძემ ანსამბლის სიმღერები სტუდიურად ჩაწერა როგორც საკრუიზო მოგზაურობის დაწყებამდე, ისე მის შემდგომ.

საოჯახო არქივში დაცულ სიმღერებს ჩაწერის ზუსტი დრო არ აწერია. ბაბინებზე (კოჭებზე) მითითებულია 1976-79 წლები, თუმცა, ჩანაწერის ხარისხიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ყველა სიმღერა ერთ დროს და ერთ სტუდიაში უნდა იყოს ჩაწერილი. არ არის გამორიცხული, რომ ეს სიმღერები ანსამბლს 1979 წელს „გაზაფხულის რიტმები – თბილისი – 80“-ის შესარჩევი ტურებისთვის ჩაეწერა. სიმღერები რომ 1976 წელს ჩაწერილიყო, შემსრულებელთა შორის აუცილებლად იქნებოდა მარინა ჯახუტაშვილი რომელიც ანსამბლს 1977 წელს ჩამოსცილდა. ამგვარად ვფიქრობ, რომ ბაბინების კოლოფზე მიწერილი 1976 წელი ანსამბლის საბოლოო სახით ფორმირების, 1979 წელი კი სიმღერების სტუდიურად ჩაწერის თარიღად უნდა ჩაითვალოს.

ანსამბლმა სტუდიურად ჩაწერა «Джордано Бруно», „დილის ნამი“, „მზისგან ნასესხები სხივი“, „მე ვარდი ვარ“ და „სად გეძებო“. „ჩემი საქართველო“ და „გაზაფხულის რიტმები“ კი გრამფირფიტა ფირმა „მელოდიამ“ 1980 წელს ჩაწერა და მომდევნო წელს გამოსცა. 1980-იან წლებში უკვე გემზე ყოფნისას ანსამბლმა ჩაწერა „ვედრება“ და „ორივეს განცდა“. 1989 წელს გერმანიაში გამოცემულ გრამფირფიტაზე ““Labyrinth”. Welcome to a journey on board of the “Maxim Gorky”” ძირითადად ქართულ და რუსულ ცნობილ საესტრადო ნიმუშებს ვხვდებით, თუმცა მათ გვერდით „ლაბირინთის“ ორიგინალური რეპერტუარიდან წარმოდგენილია «Ночные свечи» და «Снежинки на ветру». 1989 წელს ოდესის ტელევიზიამ ანსამბლის საავტორო რეპერტუარიდან ჩაიწერა „მიწის აჩრდილი“, „ქარიშხალი“ და «Пустая комната».

თუ ანსამბლის ჩვენს ხელთ არსებული მასალით ვიმსჯელებთ, ქართული სიმღერების ნაწილი თავად მერაბ კილაძის მიერ არის შექმნილი. მხოლოდ სამი სიმღერა: „მე ვარდი ვარ“, „დილის ნამი“ და „ცხოვრების ტალღა“ (რომლის ჩანაწერიც დაკარგულია) ეკუთვნის ქეთევან კილაძეს, ხოლო „სად გეძებო“ ზურაბ ჩხარტიშვილს. ზურაბ ჩხარტიშვილის რუსული სიმღერებიდან კი

ჩაწერილია «Джордано Бруно», «Пустая комната» და «Снежинки на ветру». «Ночные свечи» კი მერაბ კილაძის არის. ზურაბ ჩხარტიშვილი რუსულ ენაზე ბევრ სიმღერას თავისუფლად ქმნიდა, რადგან ქართულენოვანი განათლების მიუხედავად რუსულიც ძალიან კარგად იცოდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ნებისმიერი ქართული თუ უცხოური სიმღერის არანჟირების ავტორი თავად მერაბ კილაძე გახლავთ. ცალკე თემაა მერაბ კილაძის სხვა ნაწარმოებები, რომელიც „ლაბირინთს“ არ შეუსრულებია. საბედნიეროდ მრავალი ასეთი ჩანაწერი მოგვეპოვება, თუმცა მათი გამოცემა უკვე ოჯახის საქმეა.

რაც შეეხება ხალხური სიმღერის არანჟირებას, მათი ჩანაწერები საერთოდ არ გაგვაჩნია. ქეთევან კილაძეს აღარ ახსოვს თუ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კონკრეტულად 1977-78 წლებში რა სიმღერები ჩაიწერა. ჩემი ვარაუდით ეს ხალხური სიმღერების არანჟირებული ნიმუშები უნდა ყოფილიყო, რადგან იმდროინდელი პრესა „ლაბირინთზე“ საუბრისას აქცენტს, სწორედ ამაზე აკეთებდა. „ჩირაღდანი“ კი როგორც ჩანს არათუ თბილისის, არამედ აჭარის რადიო-ტელევიზიის მხრიდანაც კი არასდროს ჩაწერილა.

ანსამბლის ძველი წევრების გადმოცემით 1970-იანი წლების დასაწყისში განუმეორებელი იყო ასია აბრამიშვილისა და ზურაბ ჩხარტიშვილის დუეტი, თუმცა მათი არათუ იმდროინდელი, არამედ ბოლო პერიოდის საოჯახო ჩანაწერებიც კი არ მოგვეპოვება. ასია ხომ ადრევე ჩამოსცილდა ანსამბლს, რადგან ზურაბ ჩხარტიშვილის მეუღლე გახდა. სამაგიეროდ შემიძლია ვთქვა, რომ „ლაბირინთს“ დიდ ხიბლს აძლევდა ქეთევან კილაძის და ზურაბ ჩხარტიშვილის დუეტი.

მერაბ კილაძეს სურდა თავისი ორატორიის „ჩემი საქართველო“ დადგმა გუნდთან და ორკესტრთან ერთად. ასევე უნდოდა მისი ნაწარმოებების მთლიანად შეკრება და კონცერტის ჩატარება მის შვილ მიქაელ კილაძესა და მიქაელის გუნდთან ერთად. სამწუხაროდ, გართულებული ჯანმრთელობის გამო ამ ჩანაფიქრების განხორციელების შესაძლებლობა აღარ მიეცა. მიუხედავად ამისა მერაბი სიცოცხლის ბოლომდე ქმნიდა ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს, რომლებსაც წერდა თავის პროფესიულ სტუდიაში, youtube.com-ზე აქვეყნებდა მათ დასრულებულ ვერსიებს და დიდ მოწონებასაც იმსახურებდა. მისი ერთ-ერთი ნაწარმოები „სევდა“ მისი მეგობრების, მათ შორის „ლაბირინთელების“ გარდაცვალებით გამოწვეული ნაღველის შედეგად დაიწერა. სამწუხაროდ, გემის დატოვების შემდგომ, მერაბს დიდხანს აღარ უცოცხლია. ის ბათუმში 2019 წლის 27 დეკემბერს 65 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„ლაბირინთის“ ქართული ესტრადიდან ნაადრევი წასვლის გამო ახალგაზრდა თაობამ არაფერი იცის მათ შესახებ. აღარც უფროსი თაობის მელომანების დიდ ნაწილს ახსოვს ეს ანსამბლი, მისი ხელმძღვანელი კი ხშირად ალექსანდრე კილაძეში ეშლებათ. ზოგს კი ანსამბლის მხოლოდ სახელწოდება სმენია. აღარც ეს არის გასაკვირი – „ლაბირინთის“ უკანასკნელი გამოსვლიდან ხომ ათწლეულებია გასული. მართალია თბილისში მომდევნო ხანებში შეიქმნა სხვა „ლაბირინთი“, მაგრამ აბსოლუტურად განსხვავებული შემადგენლობითა და რეპერტუარით. ამავე დროს მერაბსა და მის ანსამბლს დღემდე სიამოვნებით იგონებენ მისივე თაობის ისეთი ცნობილი მუსიკოსები როგორებიც არიან: მერაბ სეფაშვილი, გია მაჭარაშვილი, ნუგზარ ერგემლიძე, ზურაბ კობეშავიძე, მიხეილ ფოფხაძე (ქაშვეთის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მიქაელი), ა. წ. გარდაცვლილი უჩა კორძაია და სხვები. ნუგზარ ერგემლიძემ ტელევიზიის როკ-ანსამბლიდან მიხეილ ფოფხაძის წასვლის შემდგომ მერაბს შესთავაზა თანამშრომლობა, თუმცა ის გემზე დარჩა და თავისი „ლაბირინთელები“ არ მიატოვა. ვინაიდან „ლაბირინთის“ სამსახური იყო ოდესის სანაოსნო, ანსამბლის წევრების უმეტესობა ოდესაში დასახლდა და ამიტომ საქართველოში იშვიათად ჩამოდიოდნენ. მერაბი კი ყოველთვის ბათუმში მოდიოდა.

სამწუხაროა ისიც, რომ ჩვენი „ლაბირინთის“ შემოქმედების მხოლოდ მცირე ნაწილი შემოგვრჩა. ვითარებას ამძიმებს ისიც, რომ დაკარგულია არაერთი სანოტო ჩანაწერი, მათ შორის ორატორია „ჩემი საქართველოს“ დიდი ნაწილი.

პრესა მუდმივად წერდა მერაბ კილაძისა და მისი ანსამბლის უზადო პროფესიონალიზმის, ტემბრული მრავალფეროვნების და ხალხურ მუსიკასთან სიახლოვისა და ხალხური თუ სხვათა სიმღერების ორიგინალურად გადამუშავების თაობაზე. ოდესის ტელევიზიის ეთერში დიქტორმა „ლაბირინთი“ ლაინერ „მაქსიმ გორკიზე“ მომუშავე უამრავ მუსიკალურ კოლექტივს შორის ყველაზე პროფესიულ, თანამედროვე და ფართო რეპერტუარის მქონე ანსამბლად დაასახელა. ამავე გადაცემაში ზურაბ ჩხარტიშვილი „ლაბირინთის“ წარმატების ერთ-ერთ მიზეზად ხელმძღვანელის ფაქტორს ასახელებს: „ანსამბლის განვითარების საქმეში მთავარი როლი ეკავა მერაბ კილაძეს. ჩვენ ვენდობოდით მას და ის გვენდობოდა ჩვენ“.

ახლა კი შემოგთავაზებთ რამდენიმე მოგონებას „ლაბირინთის“ პირველი წლების შესახებ:

ქეთევან კილაძე – უცხოური მუსიკის შესრულება ადრე არ იყო

ნებადართული. ზოგჯერ საერთოდ ვერ იმღერებდი, ზოგჯერ კი სტანდარტული საბჭოთა არანჟირებით უნდა შეგესრულებინა. უნდა ყოფილიყო პირველი კუპლეტი - მისამღერი - მეორე კუპლეტი - მისამღერი - ინსტრუმენტულ თანხლებაში პირველი კუპლეტის მელოდია - მისამღერი და დამთავრება. მერაბი კი სულ ახლებურად აკეთებდა არანჟირებას. თბილისში ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად არ გვიშვებდნენ და სამჯერ ჩამოვიყვანეთ კომისია. მესამე ჩამოსვლაზე კომისიას თან ახლდა ქართველი მუსიკოსი ბაჟაჟოვი. იმხანად ხშირი იყო ხალხური სიმღერების არანჟირება. მერაბმა გადაამუშავა „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ და „აკა სი რექიშო“. ამ უკანასკნელში თემას ვარირებულად სოლოგიტარა ასრულებდა და აჭარის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ვერ გაიგო მუსიკალური თემის დამუშავება. ბაჟაჟოვმა მათ აუხსნა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი მუსიკალური თემა, რომელიც იყო ინტერპრეტირებული და ასე გადაწყდა ჩვენი გაშვება. 1979 წელს კიევში ტარდებოდა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული საკავშირო ფესტივალი (სახელწოდება და თარიღი დააზუსტა ზურაბ ახალაძემ), საიდანაც მივიღეთ მოწვევა, მაგრამ აჭარის მაშინდელმა მთავრობამ არ დაგვაფინანსა და ჩვენი ძალებით წავედით. ამიტომ კონკურსგარეშე მოგვიწია გამოსვლა, თუმცა ჟიური იმდენად მოიხიბლა რომ კონკურსში ჩაგვრთეს და ლაურეატები გავხდით“.

ასევე შემოგთავაზებთ ზურაბ ჩხარტიშვილის მოგონებას, რომელმაც ოდესის ტელევიზიაში ისაუბრა ანსამბლისთვის „ლაბირინთის“ დარქმევის ისტორიაზე: „ანსამბლს ეს სახელი 1980 წელს დავარქვით, როდესაც მიგვიწვიეს თბილისში პოპ-მუსიკის ფესტივალზე. როკისთვის მკაცრ დღეებში მომიწია სიმძიმის საკუთარ თავზე გამოცდა. იყო შემთხვევები, როდესაც ზედა ინსტანციები გვიკრძალავდნენ ჩვენთვის სასურველი მუსიკის შესრულებას. „ლაბირინთმა“ კი თავის გზაზე ბევრი სირთულე გამოიარა და სწორედ ამ ფაქტმა შეგვარჩევინა ანსამბლის სახელწოდება, რადგანაც ეს სიტყვა ჩვენს გზას სრულიად ამართლებდა“. აქ საუბარია 1980 წლის როკ-ფესტივალზე რომელსაც ზურაბი რატომღაც პოპ-მუსიკის ფესტივალად იხსენიებს. რაც შეეხება „ლაბირინთის“ დარქმევას, ანსამბლს ეს სახელი 1979 წლის ბოლოსთვის უნდა მიეღო, როდესაც სტუდიურად (სავარაუდოდ ფესტივალის შესარჩევი ტურისთვის) ჩაიწერა ჩვენამდე მოღწეული სიმღერები.

„ლაბირინთის“ ჩანაწერების მოსმენისას განსაკუთრებით მაოცებს ზურაბ ჩხარტიშვილის ფენომენალური ხმა. ხშირად მრჩება შთაბეჭდილება, რომ მისი ხმა ზარივით რეკს მაშინაც, როცა ზოგიერთ სიმღერაში ანსამბლის

ყველა წევრი მღერის. შემთხვევითი არ არის, რომ ანსამბლთან ერთად ზურაბ ჩხარტიშვილს სიმღერის საუკეთესოდ შესრულებისთვის პირველი ადგილი არაერთხელ აქვს აღებული. თითქმის ყველა ჟურნალისტი აღტაცებული ტონით წერდა მისი ხმის შესახებ. ყოველივე აქედან გამომდინარე დარწმუნებული ვარ, „ლაბირინთს“ საკონცერტო ესტრადაზე მოღვაწეობა რომ გაეგრძელებინა, ზურაბ ჩხარტიშვილის სახით უძლიერესი სოლო მომღერალი გვეყოლებოდა, ხოლო თუ კონსერვატორიაში ისწავლიდა, მისგან ჩინებული ტენორი დადგებოდა. სხვათაშორის როდესაც მამაჩემის თამაზ კრავეიშვილის რჩევით, მერაბზე დავიწყე წერილის მომზადება და „ლაბირინთის“ პირველივე ჩანაწერს „მიწის აჩრდილის“ ვიდეოს ინტერნეტსივრცეში მოვუსმინე, გაოცებულმა მამას ვკითხე, თუ ვინ იყო ფენომენალური ხმით დაჯილდოებული მომღერალი. ბედის ირონია კი ის იყო, რომ ანსამბლის ყველა წევრს ჰქონდა მუსიკალური განათლება, ზურაბ ჩხარტიშვილის გარდა, და ამიტომ მერაბს მის გემზე დასატოვებლად არაერთი ბარიერის გადალახვა მოუწია.

მერაბ კილაძე პროფესიით გუნდის დირიჟორი იყო, თუმცა ამ განხრით არ უმუშავია და საზოგადოებას თავი დაამახსოვრა როგორც თვითნასწავლმა კომპოზიტორმა და არანჟირების ოსტატმა. მერაბი ნებისმიერი ნაწარმოების არანჟირებისას ინარჩუნებდა რა ძირითად მელოდიურ ხაზს, მნიშვნელოვანი სიახლეებიც შეჰქონდა ნაწარმოების ინსტრუმენტულ თუ ჰარმონიულ ჟღერადობაში.

რაც შეეხება არანჟირების პროცესს: ქეთევან კილაძის თქმით ის „ლაბირინთის“ წევრებს უწერდა ძირითად თემებსა და მონახაზებს და წევრები იმპროვიზირებდნენ შიგადაშიგ ისე, რომ არ დარღვეულიყო ძირითადი ჰარმონია. როდესაც სხვადასხვა მომღერლები თუ ჯგუფები უკვეთავდნენ არანჟირებას, მაშინ მერაბი ერთ შემთხვევაში ქმნიდა ინსტრუმენტულ ფონოგრამას, რომელსაც იყენებდნენ მომღერლები, მეორე შემთხვევაში კი წერდა დეტალურ პარტიტურას, რომელსაც მომღერალთან ერთად ცოცხალი ორკესტრი ასრულებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მერაბს ბავშვობიდანვე ვიცნობდი, მასთან აქტიური მუსიკალური ურთიერთობა მხოლოდ 2005 წელს მქონდა, როდესაც შვებულებით იყო ჩამოსული მის მშობლიურ ბათუმში. იგი თავისი შვილისთვის მიქაელისთვის საკონკურსოდ არჩევდა თავის ერთ-ერთ ნაწარმოებს და მე ბედნიერება მქონდა მომესმინა მისი რამდენიმე თხზულება. მე და ჩემი თაობის წარმომადგენლები მუსიკალურ სკოლებში, ტექნიკუმსა თუ ათწლედებში ვიზრდებოდით მხოლოდ ქართულ ხალხურ, XVIII-XIX

საუკუნის რუს და დასავლეთ ევროპელ კომპოზიტორთა და XX საუკუნის ქართული კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა შემოქმედებაზე. იმხანად ხშირად ვუსმენდი კლასიკურ მუსიკას და შესაბამისად ჩემი ყური მთლიანად იყო გაჯერებული ვენის კლასიკოსთა ჰარმონიით. რაც შეეხება მერაბის შემოქმედებას, ჩემთვის ერთდროულად ძალიან უჩვეულო და საინტერესო იყო მის ნაწარმოებებში დისონირებული აკორდების სიმრავლე და ატონალური მუსიკის ელემენტები. სამწუხაროდ, ჩემი მუსიკალური ურთიერთობა ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა, რადგან ის მალევე გემზე დაბრუნდა. 2006 წელს, როდესაც ჯერ კიდევ ნიჭიერთა ათწლედში ვსწავლობდი, მერაბის ოჯახი ოდესაში გადავიდა საცხოვრებლად. მართალია 2017 წელს მერაბი ბათუმში საბოლოოდ დაბრუნდა, თუმცა ჯანმრთელობის გაუარესების გამო აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ვეღარ ეწეოდა.

მერაბი ბოლო წლებში შეუძლოდ რომ არ ყოფილიყო, მას არანჟირებისათვის აუცილებლად მივაწვდიდი ჩემ მიერ ჩაწერილ ლაზურ, შავშურ, ტაოურ, კლარჯულ და ინგილოურ ხალხურ სიმღერებს. იგი არამარტო დიდ პოპულარიზაციას გაუწევდა საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორს, არამედ მეც უკვე როგორც დისერტაციადაცული მუსიკოსი, ბევრს ვისწავლიდი მერაბისგან. მას ხომ ხშირად ჩამოჰქონდა უცხოური ჩანაწერები. ამ ქმედებით ერთის მხრივ ანვითარებდა ჩემს მუსიკალურ გემოვნებას, მეორეს მხრივ მადლიერებას გამოხატავდა მამაჩემისადმი, რომელიც თურმე მერაბის ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ამარაგებდა უცხოური ჩანაწერებით.

თამაზი და მერაბი ბავშობიდანვე მეგობრობდნენ. როდესაც მერაბი თბილისში ჩამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ მას არაერთი ნათესავი ჰყავდა, მაინც ჩვენთან უყვარდა დარჩენა. ამიტომაც იყო, რომ ღრმა ბავშობიდანვე ახლოს ვიცნობდი არამარტო მერაბის ოჯახსა და მის დას, არამედ მათ დედასაც. მერაბმა 1980 წლის როკ-ფესტივალის დაწყებამდე მამაჩემს სთხოვა ტექნიკურ პერსონალთან ერთად დამჯდარიყო და დარბაზში ეკონტროლებინა ინსტრუმენტებისა და ვოკალის ჟღერადობა. ანსამბლმა პირველად შეასრულა ფრაგმენტი მერაბისვე ორატორიიდან, მეორე ნომერი კი იყო ქეთევან კილაძის მიერ დაწერილი დუეტი „ცხოვრების ტალღა“ (ქეთევან კილაძისა და ზურაბ ჩხარტიშვილის შესრულებით). ნომრის დაწყებისთანავე მომღერალთა ხმები ტექნიკური თვალსაზრისით დაუბალანსებელი აღმოჩნდა, რაც მამაჩემმა თავის ძალისხმევით ხმის ოპერატორებს უმალვე გაასწორებინა და მიაღწია სრულყოფილ ჟღერადობას. ამ შემთხვევას მერაბი და ზურაბი მადლობის ნიშნად თურმე ხშირად იხსენებდნენ.

ერთხელ, 1980-იან წლებში, როდესაც ლაბირინთი უკვე გემზე მოღვაწეობდა და მერაბი შვებულებით იყო ჩამოსული, მამაჩემთან ერთად შეიარა ფირმა „მელოდიაში“. იქ რომელიღაც ახლადფეხადგმული ანსამბლისგან ერთ-ერთ კომპოზიციას იწერდნენ. იმ დროს გიტარის სოლო უნდა ჩაეწერათ, თუმცა გიტარისტი კარგად ვერ იმპროვიზირებდა. მერაბმა გამოართვა გიტარა და რამდენიმე ვარიანტი იქვე შესთავაზა. ვინაიდან ყველა ვარიანტი ძალიან კარგი იყო, მერაბმა ჩაწერისას პირველი ვარიანტი შეასრულა.

მამაჩემი ასევე იგონებს – 1980-იანი წლების დასაწყისისთვის ვიდეო-მაგნიტოფონი ჯერ კიდევ იშვიათი იყო და საზოგადოება ფილმების სანახავად ჯერ კიდევ კინოთეატრებში დადიოდა. ერთხელაც მერაბი და მე რომელიღაც იტალიური ფილმის სანახავად ბათუმის კინოთეატრ „ინტერნაციონალში“ შევედით. ფილმის დაწყებისთანავე მერაბმა იცნო ქალაქი გენუა და მისი უბანი „ძეხვის შესახვევი“ და განმარტავდა თითოეულ კადრს. ამის გამგონე მაყურებლებმა გაოცებით გადმოხედეს მერაბს. მაყურებლებისთვის მერაბის ამგვარი ცოდნა უჩვეულო აღმოჩნდა, არადა იგი გემით თურმე არაერთხელ სწვევია ამ ქალაქს.

2020 წლის 4 იანვარს, მერაბის დაკრძალვის დღეს მამაჩემი სოციალურ ქსელში მას ასე გამოემშვიდობა: „უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ ჩემი ბავშვობის მეგობარი, უკეთილშობილესი ადამიანი მერაბ კილაძე. იგი იყო უბადლო მუსიკოსი. ანსამბლ „ლაბირინთის“ ხელმძღვანელი, კომპოზიტორი, „არანჟიროვშიკი“, „გიტარისტი“, „კლავიშნიკი“, ვოკალისტი. უწერდა პარტიტურებს სხვადასხვა უცხოურ ორკესტრებს. 35 წელი თავისი ანსამბლით მუშაობდა სამგზავრო ლაინერებზე, როგორიცაა: «Грузия» და «Максим Горький». საბჭოთა კავშირში პირველი როკ-მუსიკის ფესტივალი ჩატარდა 1980 წელს ქალაქ თბილისში, რომელშიც მერაბის ანსამბლმა „ლაბირინთმა“ დამსახურებულად მეორე ადგილი მოიპოვა. პირველზე «Машина времени», მესამეზე „ვია 75“ გავიდა. სამწუხაროდ მერაბმა ანსამბლი „ლაბირინთი“ გემის კაპიტანივით უკანასკნელმა დატოვა. ნათელში იყოს მისი სული“. აქვე დავძენ რომ სინამდვილეში გემზე მყოფი წევრებიდან დღემდე ცოცხალია ავთანდილ კუბლაშვილი და პანაიოტიკ პაპაიანიდი, თუმცა იმ ხალხიდან ვინც გემზე ოქროს ხანა შექმნა, მართლაც ყველა გარდაცვლილია. ღმერთმა მართლაც ნათელში ამყოფოს მათი ლამაზი სულები.

შემთხვევითი არ არის, რომ მერაბ კილაძის მშობლები ეთერ დოლიძე და მიხეილ კილაძე ქართულ მუსიკაში წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ. მიხეილი იყო: საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; აჭარის სახელმწიფო ანსამბლის დირიჟორი; ბათუმის საშუალო სკოლებში

სხვადასხვა საგუნდო კოლექტივების დირიჟორი. ეთერი გახლდათ: აჭარის დამსახურებული არტისტი; აჭარის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი და ხალხური საკრავების ჯგუფის ხელმძღვანელი; კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ხალხური საკრავების პედაგოგი. მათი ოჯახი იყო მუსიკალური ტრადიციების მატარებელი და ეს თაობიდან თაობას გადაეცა, რაც აისახა როგორც მერაბის ასევე მისი დის, აგრეთვე მერაბის უფროსი შვილის მიქაელ კილაძის შემოქმედებაში. ის ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ოდესაში, აქვს თავისი მუსიკალური სკოლა და არის ერთ-ერთი ძლიერი დირიჟორი და კომპოზიტორი. როგორც მერაბი მამაჩემთან საუბრისას ამბობდა „ჩემი მიშიკო ჩემზე ბევრად მაგარიაო“. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს რომ მათმა მოგვარემ ალექსანდრე კილაძემ 1985 წელს თბილისში ჩამოაყალიბა მაღალპროფესიული ანსამბლი „ჯაზ-ქორალი“. მუსიკოსი კილაძეებიდან ასევე დავასახელებ კომპოზიტორ გრიგოლ კილაძეს და მის ვაჟს, ცნობილ დირიჟორს ლილე კილაძეს.

პატივისცემით ვიხსენიებ რა მერაბის ანსამბლის თითოეულ წევრსა და მათ ოჯახებს, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ქეთევან კილაძეს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ გამოცემის შედგენაში. წიგნისა და თანდართული CD/DVD დისკების დაბეჭდვის კუთხით განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი მამაჩემს თამაზ კრავეიშვილს, დიზაინერ-დამკაბადონებელ გიორგი კვიკვინიას და გამომცემლობა „პეტიტს“.

გამოცემა ორდისკიანია. აუდიოდისკზე სრულად არის წარმოდგენილი „ლაბირინთის“ ორიგინალური რეპერტუარი. DVD დისკზე კი წარმოდგენილია როგორც ორიგინალური ისე ცნობილი ქართული და უცხოური ცნობილი სიმღერების რამდენიმე ნიმუში. ვინაიდან ანსამბლის ვიდეოები არქივებიდან გაქმრალია, ამიტომ საავტორო რეპერტუარიდან გვაქვს მხოლოდ 1989 წელს ოდესის ტელევიზიის მიერ ჩაწერილი სამი კომპოზიცია. სწორედ ამიტომ DVD დისკის მოცულობის შესავსებად შევიტანე რამდენიმე ნომერი „ლაბირინთის“ შოუებიდან. გამოცემას დაასრულებს მერაბ კილაძის კომპოზიცია „სევდა“, რომელიც ეძღვნება მის გარდაცვლილ მეგობრებს (ძირითადად „ლაბირინთელებს“). ამასთანავე მაყურებელს ბოდიშს ვუხდი ვიდეოების ხარისხის გამო. ვინაიდან ეს ვიდეოები ჩაწერილია გემზე, თანაც ათწლეულების წინ და გადაწერილია რამდენჯერმე, ამიტომ ეკრანის ხარისხი სასურველზე დაბალია. ლაბირინთის ორიგინალური რეპერტუარის აღწერილობა თავად ვიდეოებშია მოცემული. ვიდეოკონცერტების (შოუების) სრულად წარმოდგენა საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რადგან შერჩეული მასალაც კარგად ასახავს ანსამბლის სახეს.

რაც შეეხება შერჩეული ნომრების სახელწოდებისა და მათი ავტორების დასახელებას, თავი შევიკავე მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთი სიმღერის სახელწოდებისა და ავტორის საბოლოო დადგენა ძალზე გაჭირდა. ამიტომ, ერთიანი პრიცნიპის დაცვით არცერთ ნომერს აღწერა აღარ დავურთე. ამით გამოცემას არაფერი დაჰკლებია, რადგან მკითხველებისა და მსმენელების ინტერესის საგანს ანსამბლის საავტორო რეპერტუარი წარმოადგენს. აუდიო დისკი კი რომლის აღწერილობაც მოცემულია წიგნის ბოლოს, იწყება კომპოზიციებით, რომელთა ვრცელი ვარიანტებიც შესრულებულ იქნა 1980 წლის ფესტივალზე.

დასასრულს გამოვთქვამ რწმენას, რომ „ლაბირინთი“ დამსახურებულად დაიკავებს კუთვნილ ადგილს არამარტო ძველ ქართულ ესტრადაში, არამედ თანამედროვე შემსრულებლებშიც.

P.S. წიგნი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც ბულგარეთის რადიო-ტელევიზიაში აღმოაჩინეს 1977 წლის ფესტივალ «Ален Мак»-ის ჩანაწერები. ფირების აღწერა არ არსებობს და ხელმძღვანელობა კი მსურველების ადგილზე ჩასვლის გარეშე არ აპირებს მათ მოსმენას. ამგვარად ისიც კი არ ვიცით მერაბ კილაძის ანსამბლი საერთოდ ჩაიწერეს თუ არა.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (ეთნომუსიკოლოგი),
ა(ა)იპ ფონდ „ჰეიამოს“ თანადამფუძნებელი და დირექტორი
გიორგი კრავეიშვილი – 2023 წ.

აუდიო დისკის აღწერილობა:

1. „გაზაფხულის რიტმები“. მუსიკის ავტორი – მერაბ კილაძე. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. ჩაწერილია 1980 წელს ფირმა „მელოდიის“ გრამფირფიტაზე «Лауреаты фестиваля «Весенние ритмы». Тбилиси – 80“.

2. „ჩემი საქართველო“. მუსიკის ავტორი – მერაბ კილაძე. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. სოლისტები ზურაბ ჩხარტიშვილი და ქეთევან კილაძე. ჩაწერილია იქვე.

3. „მიწის აჩრდილი“. მუსიკის ავტორი – მ. კილაძე. სოლისტები მ. კილაძე და ზ. ჩხარტიშვილი. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. ჩაწერილია 1979 წელს. საოჯახო არქივიდან.

4. «Джордано Бруно». მუსიკის ავტორი და სოლისტი – ზ. ჩხარტიშვილი. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. სოლისტი ზ. ჩხარტიშვილი. ჩაწერილია იქვე.

5. „მე ვარდი ვარ“. მუსიკის ავტორი – ქეთევან კილაძე. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. სოლისტები ზ. ჩხარტიშვილი და ქ. კილაძე. ჩაწერილია იქვე.

6. „სად გეძებო“. მუსიკის ავტორი ზ. ჩხარტიშვილი. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. სოლისტები ზ. ჩხარტიშვილი და ქ. კილაძე. ჩაწერილია იქვე.

7. „დილის ნამი“. მუსიკის ავტორი ქ. კილაძე. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. სოლისტი ქ. კილაძე. ჩაწერილია იქვე.

8. „მზისგან ნასესხები სხივი“. მუსიკის ავტორი – მ. კილაძე. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. სოლისტები ზ. ჩხარტიშვილი და ქ. კილაძე. ჩაწერილია იქვე.

9. „ვედრება“. მუსიკის ავტორი – მ. კილაძე. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. სოლისტი ზ. ჩხარტიშვილი. ჩაწერილია გემზე 1980-იან წლებში. საოჯახო არქივიდან.

10. „ორივეს განცდა“. მუსიკის ავტორი – მ. კილაძე. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. ჩაწერილია იქვე.

11. “Night Candels”/«Ночные свечи». მუსიკის ავტორი – მ. კილაძე. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. სოლისტი ზ. ჩხარტიშვილი. ჩაწერილია 1989 წელს გრამფირფიტაზე ““Labyrinth”. Welcome to a journey on board of the “Maxim Gorky””.

12. “Schneeflocken im wind”/«Снежинки на ветру». მუსიკის ავტორი და სოლისტი ზ. ჩხარტიშვილი. ასრულებს ანსამბლი „ლაბირინთი“. ჩაწერილია იქვე.

გამომცემელი: გიორგი და თამაზ კრავეიშვილების მიერ დაარსებული
ა(ა)იპ ფონდი – ჰეიამო
უსასყიდლო გამოცემა

„ჩირაღდანი“ - ზურაბ ჩხარტიშვილი, დავით მახარაძე, გია პატარაია, მერაბ კილაძე და უკან რამაზ გვარამაძე

„ჩირაღდანი“ - დავით მახარაძე, ზურაბ ჩხარტიშვილი, ასია აბრამიშვილი, მერაბ კილაძე

„ჩირაღდანი“ - დავით მახარაძე, გია პატარაია, რამაზ გვარამაძე, მერაბ კილაძე, ზურაბ ახალაძე

„ჩირაღდანი“ - ზურაბ ჩხარტიშვილი, დავით მახარაძე, გია პატარაია, რამაზ გვარამაძე, მერაბ კილაძე, ასია აბრამიშვილი და ზურაბ ახალაძე

„ჩირაღდანი“ - ზურაბ ჩხარტიშვილი და ასია აბრამიშვილი.
უკან რამაზ გვარამაძე

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი: ანზორ ვარშანიძე, ზურაბ ჯინჭარაძე, ქეთევან კილაძე, ვაჟა კონცელიძე, მარინა ჯახუტაშვილი, მერაბ კილაძე, გარიკ მკრტიჩიანი, რამაზ გვარამაძე, ზურაბ ჩხარტიშვილი, ზურაბ ახალაძე, პანაიოტიკ პაპაიანიდი, კოსტანტინე კისიაკოვი და გულშემატკივრები

მერაბ და ქეთევან კილაძეები

მერაბ და ქეთევან კილაძეები

მერაბ კილაძე ფილარმონიაში როკ-მუსიკის ფესტივალზე

ქეთევან კილაძე ფილარმონიაში როკ-მუსიკის ფესტივალზე

„ლაბირინთი“ - დგანან: ზურაბ ჩხარტიშვილი, ვაჟა კონცელიძე, სუმბათ გრიგორიანი; წინა პლანზე: მერაბ და ქეთევან კილაძეები, ზურაბ ჯინჭარაძე, პანაიოტიკ პაპაიანიდი, გარიკ მკრტიჩიანი



ქეთევან კილაძე და ზურაბ ჩხარტიშვილი

„ლაბირინთი“ გემზე - სუმბათ გრიგორიანი, ზურაბ ჯინჭარაძე, გარიკ მკრტიჩიანი, ზურაბ ჩხარტიშვილი, მერაბ კილაძე და ავთანდილ კუბლაშვილი

„ლაბირინთი“ გემზე - მერაბ კილაძე, რამაზ გვარამაძე, გარიკ მკრტიჩიანი, სუმბათ გრიგორიანი, ავთანდილ კუბლაშვილი, ზურაბ ჩხარტიშვილი

„ლაბირინთი“ გემზე - მერაბ კილაძე, სუმბათ გრიგორიანი, გემის თანამშრომელი, ზურაბ ჩხარტიშვილი რამაზ გვარამაძე, ზურაბ ჯინჭარაძე, პანაიოტიკ პაპაიანიდი და გარიკ მკრტიჩიანი

„ლაბირინთი“ გემზე - უკრავენ: მერაბ კილაძე, გარიკ მკრტიჩიანი, ავთანდილ კუბლაშვილი; ცეკვავენ: ზურაბ ჯინჭარაძე და რამაზ გვარამაძე

„ლაბირინთი“ გემზე - მერაბ კილაძე, რამაზ გვარამაძე, პანაიოტიკ პაპაიანიდი, სუმბათ გრიგორიანი, ზურაბ ჯინჭარაძე, ზურაბ ჩხარტიშვილი

მერაბ კილაძე

„ლაბირინთი“ გემზე - ალექსანდრ შეფერი, ზურაბ ჯინჭარაძე, სუმბათ გრიგორიანი, მერაბ კილაძე, რამაზ გვარამაძე, გერმანელი არტისტი თემურ ჩივიკი, გარიკ მკრტიჩიანი, ავთანდილ კუბლაშვილი

მერაბ კილაძე სტუდიაში

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი - პანაიოტიკ პაპაიანიდი, ზურაბ ჩხარტიშვილი, კოსტანტინე კისიაკოვი, ზურაბ ჯინჭარაძე, მარინა ჯახუტაშვილი, ქეთევან კილაძე, ვაჟა კონცელიძე, გარიკ მკრტიჩიანი. გადაცემა - «Шире круг»

„ლაბირინთი“ გემზე - ზურაბ ჩხარტიშვილი, ზურაბ ჯინჭარაძე, გარიკ მკრტიჩიანი, რამაზ გვარამაძე, სუმბათ გრიგორიანი, ავთანდილ კუბლაშვილი, მერაბ კილაძე

www.heiamo.com

ISBN 597-9941-9773-1-2